



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

28 დეკემბერი 2021 წელი

№56/36

ეგ.ზ.:№1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვების სისტემური
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	საკონტაქტო ინფორმაცია	31

ტერმინები და შემოკლებები

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები:

გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ ან 5,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევებში.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ელექტრონული ტენდერი – 5,000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილ პროცედურებს.

პრეტენდენტი – პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

სახელმწიფო შესყიდვა – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შემსყიდველი ორგანიზაცია – რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

SMP მოდული – სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტებად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოთხი სამინისტრო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების, გამარტივებული შესყიდვების, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადების, ქვეკონტრაქტორების და საავანსო ანგარიშსწორების საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების მომზადების ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან რიგ შემთხვევაში არ ხდება მოსამზადებელი სამუშაოების დროს შეგროვებული ინფორმაციის სათანადო შესწავლა და ანალიზი, რაც შემდგომში სახელმწიფო შესყიდვების შეწყვეტის და შესაბამისად, შესყიდვის პროცედურების გაჭიანურების მიზეზი ხდება.

ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა რიგ შემთხვევებში არ არის ჩატარებული ან/და ჩატარებული კვლევა ფორმალურია და არ ემსახურება პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. მათ შორის, ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგია შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრა. 2020 წელს 98 შემდგარი ტენდერიდან 39 შემთხვევაში ფიქსირდება 20%-იანი და მეტი ეკონომია, შედეგად, შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა 2,004,522 ლარით. ამასთანავე, მთლიანი ტენდერების 26% გაიმართა ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში, სადაც შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა მხოლოდ 111,116 ლარით, 8%-ით. ბაზრის კვლევის ნაკლოვანებების გამო, ტენდერში/კონკურსში კონკურენციის არარსებობა ან/და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, იწვევს არაეკონომიურ ხარჯს.

პრეტენდენტთა შერჩევა- შეფასების ნაკლოვანებები

სატენდერო კომისია რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ სწავლობს პრეტენდენტის მიერ მოცდილების შესახებ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამისი გარემოებების არსებობის მიუხედავად, არ მსჯელობს დისკვალიფიკაციაზე.

გამარტივებული შესყიდვის ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აფასებს გამარტივებული შესყიდვების განხორციელების საფუძვლებთან შესაბამისობას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას თანხმობის გაცემის თაობაზე. არსებული სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს მხრიდან თანხმობის გაცემის მომენტში გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების კანონშესაბამისობის დადასტურებას. აქედან გამომდინარე, არის შემთხვევები, როდესაც გაცემული თანხმობები შემსყიდველის მხრიდან სხვადასხვა სახის შეუსაბამო გადაწყვეტილების საფუძველს ქმნის. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების საფუძველით,

გამარტივებული წესით განხორციელებულია ისეთი საქონლის შესყიდვა, რომელზეც ტენდერის დროულად გამოცხადება არ გამოიწვევდა ღონისძიების შეფერხებით ჩატარებას.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების ნაკლოვანებები

მიმწოდებელთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელია, არ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას, იწვევს პროექტების განხორციელების შეფერხებას და შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან არიდებაზე.

შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადების ნაკლოვანებები

სამინისტროებმა განახორციელეს 1,071,664 ლარის ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ჩაიბარეს საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ შესრულებული პროექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით.

ქვეკონტრაქტორის გამოყენების ნაკლოვანებები

ქვეკონტრაქტორების შესახებ ეფექტიანი რეგულაციების არარსებობის პირობებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ არის შემუშავებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის სამუშაოს გამოყენებას. რიგ შემთხვევებში, ტენდერებში მონაწილე ორი ან მეტი კომპანია სამუშაოების გამოცდილებად ითვლის ერთსა და იმავე სამუშაოებს, რის გამოც გაურკვეველია, რეალურად, რომელი კომპანიის მიერ იქნა შესრულებული სამუშაოები. აღნიშნული კომპანიებს უქმნის გამოცდილების დადასტურების საშუალებას და, შესაბამისად, ტენდერებში არაკონკურენტულ უპირატესობას.

საავანსო ანგარიშსწორების ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 9 ხელშეკრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი დაუსაბუთებელია, შესაძლოა მიმართული იყოს შესაბამისი საბიუჯეტო წლის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნების ასათვისებლად და არ უზრუნველყოფდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას.

რეკომენდაციები

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის
სამინისტროებს

რეკომენდაცია N1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საჯარო სახსრების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლას, ანალიზსა და დოკუმენტირებას, ყველა რელევანტური პირობის (მოცულობა, წარმოშობის ქვეყანა, ანგარიშსწორება, მიწოდების ვადა, საგარანტიო ვადა და ა.შ.) გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N2. შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო/საკონკურსო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილად შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

რეკომენდაცია N3. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელებისას ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური ხარჯის გაწევის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა რელევანტური ღონისძიების დროულად გატარება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელების თავიდან ასაცილებლად.

რეკომენდაცია N4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში ცვლილებებზე განაცხადების სრულყოფილად შესწავლასა და მიზანშეწონილობის შეფასებას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

რეკომენდაცია N5. შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგით უზრუნველყოფს ხარვეზების დროულად გამოვლენას და საგარანტიო მექანიზმების ამოქმედებას. ამასთანავე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სრულყოფილად გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და სუბიექტური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6. ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მართვის მიზნით, შეიქმნას შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის შერჩევას და ეფექტიან მონიტორინგს.

რეკომენდაცია N7. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შემუშავდეს სათანადო კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ანალიზის განხორციელებას, რამდენად საჭიროებს შესყიდვა წინასწარ დაფინანსებას და რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის. ამ პროცესში გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი ანგარიშსწორება წლის ბოლოს საბიუჯეტო ასიგნების ასათვისებლად არ იყოს მიმართული.

1. შესავალი

**ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

**აუდიტორის
პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების¹ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. საქმიანობის ფარგლებში გაწეული დანახარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში 32,124,809 ლარი.

¹ დაქვემდებარებული ორგანიზაციების (საქვეუწყებო დაწესებულება; სსიპ; შპს) გარდა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
4. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.
5. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება N26 „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“.
6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“.
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.
8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.
9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
10. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.
11. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“.
12. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“.
13. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N2 ბრძანება „თეთრი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“.
14. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის N1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“.
15. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესი და პირობები“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ დოკუმენტური შემოწმება;
-)/ ფიზიკური დათვალიერება;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებების მეშვეობით. სამინისტრო იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მმართველობის უზრუნველსაყოფად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებია:

ა) განათლების, კულტურისა და სპორტის;

ბ) სოფლის მეურნეობის;

გ) ფინანსთა და ეკონომიკის;

დ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის.

სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

სამინისტროები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს.

2020 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან სამინისტროების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე² გადახდილმა თანხამ შეადგინა 32,124,808 ლარი.

ცხრილი N1. ინფორმაცია დაფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვებზე გაწეული გადასახდელების შესახებ

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	2020 წლის რესპუბლიკ. ბიუჯეტის დაფინანსება	შესყიდვ. ჯამური თანხა შესყიდვ. წლიური გეგმით	სახელმწიფო შესყიდვებზე გაწეული გადასახდ. საკასო შესრ.
1.	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	111,353,915	17,618,762	13,303,262
2.	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	18,002,939	12,029,385	11,040,605
3.	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	27,722,565	7,465,743	5,713,672
4.	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4,777,779	2,220,070	2,067,269
სულ:		161,857,198	39,333,960	32,124,808

² სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 585 ხელშეკრულება, საიდანაც 35 ერთეული გაფორმებულია 2020 წლამდე.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სახელმწიფო

შესყიდვების დაგეგმვა

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.³ შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა ძირითადი მიზანია შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა. ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადება.⁴ პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ბაზრის გამოკვლევის შედეგებს.⁵ ბაზრის კვლევის მიზანია შესყიდვის საგნის სავარაუდო ღირებულების, მიწოდების ვადების, საგარანტიო ვალდებულებების, კომერციული თუ სხვა რელევანტური პირობების განსაზღვრა. ამასთანავე, ისე უნდა განისაზღვროს პირობები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა, პროპორციული/არადისკრიმინაციული მიდგომა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.⁶

2.1.1 სახელმწიფო

შესყიდვის მომზადება

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან რიგ შემთხვევაში არ ხდება მოსამზადებელი სამუშაოების დროს შეგროვებული ინფორმაციის სათანადო შესწავლა და ანალიზი.

ფაქტობრივი გარემოება N1: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შენობის სხვადასხვა სარემონტო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2020 წლის 13 ივლისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁷ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 150,406 ლარით. შერჩევა-შეფასების ეტაპზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ავტორის – სს „აჭარაკაპმშენის“ წერილის⁸ საფუძველზე, ელექტრონული ტენდერი შეწყდა.⁹ წერილში მითითებულია, რომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. მოპოვებული მტკიცებულებებით, აღნიშნული დაკავშირებული იყო ზედნადები და მოგების ხარჯების გაანგარიშებასთან, ხოლო შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები არ შეცვლილა. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შენობის სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ხელახალი ტენდერი გამოცხადდა 2020 წლის 13 აგვისტოს.¹⁰

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 6.

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“.

⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

⁷ NAT200009958.

⁸ წერილი N22, 10/08/2020.

⁹ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N44/3, 11/08/2020.

¹⁰ NAT200012028.

ფაქტობრივი გარემოება N2: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, საჯარო სკოლების (14 ერთეული) მშენებლობის/რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2020 წლის 5 მარტს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე,¹¹ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 150,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – ამხანაგობა „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“, რომელსაც ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის გამო მიეცა დისკვალიფიკაცია.

სამინისტრომ იმავე შესყიდვის განსახორციელებლად 2020 წლის 18 მარტს ხელახლა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე,¹² რომელიც სატენდერო კომისიის 2020 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით¹³ შეწყდა. შეწყვეტის მიზეზად მითითებულია, რომ აღნიშნული სკოლებიდან 2020 წელს დაგეგმილია მხოლოდ ორი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ხოლო დანარჩენი პროექტები უნდა განხორციელდეს შემდეგ წლებში.

ტენდერი შეწყდა სატენდერო წინადადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ, სადაც სატენდერო წინადადება წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ ერთ პრეტენდენტს – თავდაპირველ ტენდერში დისკვალიფიცირებულ ამხანაგობა „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფს“. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დარღვევის გამო, ამხანაგობა „საპროექტო-საექსპერტო ჯგუფი“ 2020 წლის 11 სექტემბრიდან შეტანილია შავ სიაში.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე შესყიდვის საჭიროების/მიზანშეწონილობის შეუფასებლობამ და შიდა კონტროლის სათანადო მექანიზმების არარსებობის გამო, საპროექტო ხარვეზების შეუმჩნეველობამ, სამშენებლო სამუშაოს მინიმუმ 30 დღის დაგვიანებით დაწყება გამოიწვია. აღნიშნული გარემოებები სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

2.1.2 ბაზრის კვლევა

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა რიგ შემთხვევებში არ არის ჩატარებული ან/და ჩატარებული კვლევა ფორმალურია და არ ემსახურება პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. მათ შორის, ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორადაა განსაზღვრული. 2020 წელს 98 შემდგარი ტენდერიდან 39 შემთხვევაში ფიქსირდება 20%-იანი და მეტი ეკონომია, შედეგად, შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა 2,004,522 ლარით. ამასთანავე, მთლიანი ტენდერების 26% გაიმართა ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის პირობებში, სადაც შესყიდვების ჯამური სავარაუდო ღირებულება შემცირდა მხოლოდ 111,116 ლარით, 8%-ით.

ფაქტობრივი გარემოება N1: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, მაჭახელას ხეობაში ეთნოსოფლის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფცია) შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით,

¹¹ NAT200005317.

¹² NAT200006212.

¹³ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N6-11, 03/04/2020.

2018 წლის 11 ივლისს გამოაცხადა კონკურსი.¹⁴ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 423,700 ლარით, დღგ-ის გარეშე. კონკურსში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომლის შეთავაზებულმა ფასმა შეადგინა 385,000 ლარი დღგ-ის გარეშე. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების¹⁵ ღირებულებამ დღგ-ის ჩათვლით შეადგინა 454,300 ლარი. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.¹⁶

გარდა ამისა, არსებობს რისკი იმისა, რომ სამინისტროს სათანადოდ არ შეუსწავლია ყველა კვალიფიციური მოსაზრება განვითარების გეგმა-კონცეფციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი სამინისტროს მიუთითებდა, რომ ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის შესაქმნელად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე წინასწარ მათ დამუშავებაზე დავალების შესყიდვის გამოცხადება, შემდგომ კი ამის საფუძველზე უკვე კონკურსის გამოცხადება კონცეფციასა და კონკრეტულ დაგეგმარებაზე.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით აუდიტის ჯგუფის მიერ მოძიებულ იქნა ანალოგიური/მსგავსი შინაარსის შესყიდვები შესაბამის პერიოდში. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის დაგეგმვის გენერალური გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება,¹⁷ კურორტ გომისმთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება,¹⁸ უშგულის თემის სოფლების: ჟიბიანის, ჩვიბიანის, მურყმელისა და ჩაჟაშის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავების საპროექტო მომსახურება¹⁹ და ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურება.²⁰ მოპოვებული დოკუმენტებით, მაჭახელას ხეობაში ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფცია) შედგენის მომსახურება შესყიდულია 454,300 ლარად, მაშინ როდესაც ანალოგიური/მსგავსი შინაარსის და მნიშვნელობის სხვა სახელმწიფო შესყიდვებში²¹ გადახდილია არანაკლებ 100,000 ლარით ნაკლები.

¹⁴ CNT180000041.

¹⁵ ხელშეკრულება N172, 21/09/2018.

¹⁶ სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, მაჭახელას ხეობის ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფცია) შედგენის მომსახურების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ელექტრონული მიმოწერა პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართზე არ იძებნება, ხოლო სამსახურებრივ მეილზე ტექნიკური მიზეზების გამო, ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება, რადგან სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის ლიმიტის შევსების გამო, რამდენჯერმე საჭირო გახდა მისი გასუფთავება.

¹⁷ SPA180007694 (შემსყიდველი - ა(ა)იპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, ფასი - 198,500 ლარი).

¹⁸ CNT170000085 (შემსყიდველი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ფასი - 49,560 ლარი).

¹⁹ CNT170000081 (შემსყიდველი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფასი - 236,000 ლარი).

²⁰ CNT170000080 (შემსყიდველი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფასი - 351,640 ლარი).

²¹ ა(ა)იპ - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიერ 198,500 ლარად შესყიდულია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტის დაგეგმვის გენერალური გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 49,560 ლარად, კურორტ გომისმთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ - 236,000 ლარად, უშგულის თემის სოფლების: ჟიბიანის, ჩვიბიანის, მურყმელისა და ჩაჟაშის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავების საპროექტო მომსახურება და 351,640 ლარად, ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურება.

დასკვნა

2.1.3 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა და საკონკურსო პირობების განსაზღვრა

ფაქტობრივი გარემოება N2: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, „საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების 10 საჯარო სკოლისათვის სპორტული ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2020 წლის 31 იანვარს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.²² შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 50,000 ლარით. ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, ხოლო გამარჯვებული პრეტენდენტის ფასმა შეადგინა 32,032 ლარი, რა ფასითაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.²³ შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით საბოლოო ფასი შემცირებულია 36%-ით.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის არასათანადო კვლევის გამო, მაჭახელას ხეობაში ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება შესყიდულია ანალოგიური/მსგავსი შინაარსის და მნიშვნელობის სხვა სახელმწიფო შესყიდვებზე, არანაკლებ, 100,000 ლარით მეტ ფასად. ბაზრის არასათანადო კვლევა შემსყიდველი ორგანიზაციების შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს, რაც ტენდერში კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში, იწვევს არაეკონომიურ ხარჯს.

შემსყიდველი ორგანიზაციები ფასთა გამოკითხვის შედეგად, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. კერძოდ, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა ხდება მიწოდებული ფასების უმცირესი ან მაღალი ფასით ან/და გამოიყენება კომბინირებული ფასი. უმცირესი ფასის გამოყენებით შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრელი ორგანიზაციები ასეთი მეთოდის გამოყენებას ეკონომიური ხარჯის პრინციპებით განმარტავენ, ხოლო მაღალის ფასის – კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად, ვინაიდან როგორც მაღალი, ასევე უმცირესი ფასის მქონე პოტენციური პრეტენდენტები შეძლებენ მონაწილეობის მიღებას. კომბინირებული ფასი უფრო იშვიათად გამოიყენება. ამ პროცესში არ არის შესწავლილი/გაანალიზებული წარმოდგენილ ფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობების მიზეზები, რაც ქმნის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრის საფუძველს. შესყიდვის ფასის მაღალი/კომბინირებული მეთოდით განსაზღვრისა და ტექნიკური პირობების ხარვეზის შემთხვევაში, არსებობს ბიუჯეტიდან არაეკონომიური ხარჯის გაწევის რისკი.

ფაქტობრივი გარემოება N1: მაჭახელას ხეობაში ეთნოსოფლის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის (განვითარების გეგმა-კონცეფციის) საფუძველზე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, მაჭახელას ხეობაში „ეთნოსოფლის“ საინფორმაციო ცენტრისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის კეთილმოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2019 წლის 10 ოქტომბერს გამოაცხადა კონკურსი.²⁴

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დოკუმენტაციის თანახმად, ფასები წარმოდგენილ იქნა 3 საპროექტო

²² NAT200002440.

²³ ხელშეკრულება N40, 26/02/2020.

²⁴ CNT190000110.

ორგანიზაციის მიერ. უმცირესი შეთავაზების მქონე ორგანიზაცია²⁵ შესაძლებლად თვლიდა მომსახურების გაწევას 74,000 ლარად დღგ-ის გარეშე, სხვები – შესაბამისად, 123,000 ლარად დღგ-ის გარეშე და 190,000 ლარად დღგ-ის ჩათვლით.

სამინისტრომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრა შემდგომში გამარჯვებული მონაწილის – შპს „არტსტუდიო-პროექტის“ ფასის გათვალისწინებით, 110,100 ლარით დღგ-ის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ არც საკონკურსო კომისიის ოქმით²⁶ და არც შესაბამისი მოხსენებითი ბარათით²⁷ არ ირკვევა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის შერჩევის საფუძვლები.

კონკურსში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის შეთავაზებული ფასით (100,000 ლარი დღგ-ის გარეშე) გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,²⁸ ღირებულებით 118,000 ლარი (დღგ-ის გათვალისწინებით).

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად, მაჭახელას ხეობაში ეთნოსოფლის საინფორმაციო ცენტრის დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა რიგი ხარვეზები. მათ შორის, მომზადებული პროექტიდან გამომდინარე, რელიეფური მდგომარეობის გათვალისწინებით, საინფორმაციო ცენტრს არ აქვს მისასვლელი სამანქანო გზა.²⁹ ასევე, სამშენებლო ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე, არასწორად იყო მითითებული საპროექტო შენობა-ნაგებობების დასმის წერტილები, რაც კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, დაგეგმვის ეტაპზე ვერ გამოვლინდა. შედეგად, საჭირო გახდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტება, რაც ასევე პროექტის განხორციელების შეფერხების მიზეზი გახდა.

დასკვნა

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა სათანადო დასაბუთების გარეშე, საპროექტო ხარვეზების შეუმჩნეველობა და სხვა გარემოებები, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

ფაქტობრივი გარემოება N2: შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის კვლევისა და ტერიტორიის ტურისტული განვითარების კონცეფციის ფარგლებში, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორიების განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2020 წლის 25 აგვისტოს გამოაცხადა კონკურსი.³⁰ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 279,000 ლარით დღგ-ის გარეშე.

საკონკურსო პირობების თანახმად, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა განისაზღვრა 80%-ით, ხოლო საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა – 20%-ით. რაც შეეხება საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილ ხარისხის შეფასების კოეფიციენტებს: ტერიტორიის განვითარების ხედვა და ესკიზური პროექტი – კოეფიციენტი 0.9,

²⁵ აღნიშნული ორგანიზაცია, სამინისტროს შეფასებით, გამოირჩეოდა კვალიფიკაციით, განსაკუთრებით უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით, რაც იმ ეტაპზე რიგი საპროექტო ჯგუფებისათვის სიახლე იყო.

²⁶ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1, 10/10/2019.

²⁷ მოხსენებითი ბარათი N01-01-22/1904, 20/09/2019.

²⁸ ხელშეკრულება N922, 11/11/2019.

²⁹ სამანქანო გზა, რომლითაც შესაძლებელია საინფორმაციო ცენტრთან დაკავშირება, კერძო პირის საკუთრებაა.

³⁰ CNT200000035.

ხოლო ორგანიზაციის გამოცდილება და სპეციალისტების კვალიფიკაცია – კოეფიციენტი 0.1.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად გამოცხადდა უფრო ნაკლები გამოცდილებისა და მაღალი ფასის პრეტენდენტი, რომელმაც, კომისიის შეფასებით, უკეთესი ხედვა და ესკიზური პროექტი წარმოადგინა. პრეტენდენტების ფასებს შორის სხვაობამ შეადგინა 42,194 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე სამინისტროს სხვა ანალოგიური შინაარსის შესყიდვებში პრეტენდენტის გამოცდილებასა და სპეციალისტების კვალიფიკაციაზე 0.2 კოეფიციენტზე ნაკლები არ განუსაზღვრავს.

დასკვნა

საკონკურსო კომისიის მიერ ხარისხის შეფასების კოეფიციენტების განსხვავებულად განსაზღვრამ კონკურსში უფრო ნაკლები გამოცდილებისა და მაღალი ფასის პრეტენდენტის გამარჯვება განაპირობა. ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული სისუსტეებზე მიუთითებს და ბიუჯეტიდან 42,194 ლარის არაეკონომიური ხარჯის გაწევის რისკს წარმოშობს.

რეკომენდაცია N1

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საჯარო სახსრების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლას, ანალიზსა და დოკუმენტირებას, ყველა რელევანტური პირობის (მოცულობა, წარმოშობის ქვეყანა, ანგარიშსწორება, მიწოდების ვადა, საგარანტიო ვადა და ა.შ.) გათვალისწინებით.

2.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება

კრიტერიუმი: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარების საფუძველით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები უნდა ემსახურობდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მიღწევას. შეზღუდული დროის გამო, შესაძლებელია ღონისძიებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის პროცედურებით, იწვევდეს ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და ხელს უშლიდეს მის უწყვეტად ჩატარებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას.³¹ ამასთანავე, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია დარწმუნდეს, რომ გააფორმებს ხელშეკრულებას მიმწოდებელთან, რომელიც შეძლებს დაკვეთის სრულად და ჯეროვნად შესრულებას. ელექტრონული ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე ფასდება პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში, ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა.³²

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“, მუხლი 4, პუნქტი 7.

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „უ“.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აფასებს გამარტივებული შესყიდვების განხორციელების საფუძვლებთან შესაბამისობას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას თანხმობის გაცემის თაობაზე. არსებული სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სააგენტოს მხრიდან თანხმობის გაცემის მომენტში გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების კანონშესაბამისობის დადასტურებას. აქედან გამომდინარე, არის შემთხვევები, როდესაც გაცემული თანხმობები შემსყიდველის მხრიდან სხვადასხვა სახის შეუსაბამო გადაწყვეტილების საფუძველს ქმნის. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების საფუძველით, გამარტივებული წესით განხორციელებულია ისეთი საქონლის შესყიდვა, რომელზეც ტენდერის დროულად გამოცხადება არ გამოიწვევდა ღონისძიების შეფერხებით ჩატარებას.

ფაქტობრივი გარემოება N1: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში, 2020 წლის 30 აპრილის ცვლილებების³³ შედეგად, დამტკიცდა „ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვის, ფუნქციონირებისა და რისკჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის“ პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისა და საექმო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, განისაზღვრა, მათ შორის, ქალაქ ბათუმის მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვა 11 დასახელების სამედიცინო აპარატურით.³⁴ გამომდინარე იქიდან, რომ სამედიცინო აპარატურის შესყიდვა საჭიროებდა სპეციფიკურ ცოდნას, სამინისტრომ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიქირავა სამეცნიერო ტექნოლოგიების ინჟინერი. აღნიშნული პირი მონაწილეობდა როგორც შესყიდვის წინა მოსამზადებელ სამუშაოებში,³⁵ ასევე მიღება-ჩაბარებისა და ინსპექტირების პროცედურებში.

მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ინტერესთა გამოხატვასა და ფასთა მოძიებაზე შეტყობინება გაეგზავნა 21 კომპანიას, რომელთაგან 12-მა კომპანიამ წარმოადგინა საპასუხო შეტყობინება. სამეცნიერო ტექნოლოგიების ინჟინრის შეფასებით,³⁶ სრულყოფილი ინფორმაცია³⁷ წარმოადგინა 9 კომპანიამ, საიდანაც შეირჩა 5 კომპანია, რომელთაც შეეძლოთ კონკრეტულ პოზიციებზე წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, რიგ საქონელში, დაუსაბუთებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სამეცნიერო ტექნოლოგიების ინჟინრის მიერ რეკომენდებულია შესაძლოა უფრო მაღალი ფასის გადახდა. მაგალითად, ენდოსკოპიურ სისტემაზე რეკომენდებულია 66,000 ევროს ღირებულების შეთავაზება, მაშინ როდესაც სხვა კომპანია იმავე სპეციფიკაციების საქონელს სამინისტროს 56,350 აშშ დოლარად სთავაზობდა ან/და ინტრაოპერაციულ ექოსკოპზე რეკომენდებულია

³³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N111-უ.ს.გ.ს., 30/04/2020.

³⁴ ასიგნების მოცულობა შეადგენდა 2,670,500 ლარს.

³⁵ სპეციფიკაციების შემუშავება, ბაზრის კვლევა.

³⁶ მოხსენებითი ბარათი N724-05, 02/06/2020.

³⁷ სამეცნიერო ტექნოლოგიების ინჟინრის შეფასებით, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია.

58,250 აშშ დოლარის მოცულობის შეთავაზება, სხვა კომპანიის მიერ იმავე სპეციფიკაციების საქონლის 35,000 აშშ დოლარად შეთავაზების მიუხედავად.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მიზნობრივი პროგრამა³⁸ მომზადებულია 2020 წლის 10 აპრილის მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ჰქონდა საკმარისი რესურსი, 35 დღის განმავლობაში (2020 წლის 15 მაისამდე) არ დაუწყია ეფექტიანი მოსამზადებელი პროცედურები სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად.³⁹ პროცედურების დროული დაწყება შესაძლებელს გახდიდა შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებას და, შესაბამისად, უზრუნველყოფდა კონკურენციის შესაძლებლობას. ამ პირობებშიც, 2020 წლის 2 ივნისს შესყიდვის ყველა წინა მოსამზადებელი პროცედურა დასრულებული იყო, თუმცა სამინისტრომ, ნაცვლად ტენდერის გამოცხადებისა, დროის 9-დღიანი გაჭიანურების შემდეგ, 2020 წლის 11 ივნისს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძველით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

შესაბამისი მიმართებით,⁴⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილების⁴¹ თანახმად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ მობილიზებული უნდა იქნეს საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისათვის. ამასთანავე, ზემოაღნიშნულ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 აპრილის N256 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეთხოვა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ გამოყენების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება, ხოლო შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიეცა უფლება, საქმიანობა აწარმოოს არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, ახალი ლიცენზიის/ნებართვის მიღებამდე. ამასთანავე, ლიცენზიის/ნებართვის მიღებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა – სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილი იყოს შესაბამისი აპარატურით. აღნიშნული საფუძველით თანხმობის მოთხოვნა ადასტურებს, რომ სამინისტროსთვის 50 დღით ადრე⁴² ცნობილი იყო აუცილებელი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, თუმცა პროცესი დროულად არ დაიწყო.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი თანხმობების⁴³ საფუძველზე, სამინისტრომ 2021 წლის 23-24 ივნისს 5 კომპანიასთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები,⁴⁴ საერთო ღირებულებით – 2,008,226 ლარი.

³⁸ „ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვის, ფუნქციონირებისა და რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის“ პროგრამა.

³⁹ შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საავადმყოფოს აღჭურვისათვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვა საჭიროებდა სპეციფიკურ ცოდნას, ხოლო სამინისტროს არ ჰქონდა საკმარისი შრომითი და მატერიალური რესურსი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სამეცნიერო ტექნოლოგიების ინჟინრის დაქირავება კი ვერ განახორციელა 2020 წლის 14 მაისამდე.

⁴⁰ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართვა SMP200002604, 11/06/2020.

⁴¹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილება N184.

⁴² 2020 წლის 22 აპრილისთვის.

⁴³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება N2611, 17/06/2020; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N42, 22/06/2020.

⁴⁴ ხელშეკრულებები: N02/178, 23/06/2020; N02/179, 23/06/2020; N02/180, 24/06/2020; N02/181, 24/06/2020; N02/182, 24/06/2020.

მოპოვებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე ერთ-ერთი შერჩეული კომპანია – შპს „ემტექი“ 6 დასახელებიდან 2 დასახელების აპარატის მიწოდებას ვერ უზრუნველყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე სხვა კომპანიებს ჰქონდათ შეთავაზება⁴⁵ უფრო ნაკლები ფასით, სამინისტრომ შესასყიდი საქონელი შეცვალა⁴⁶ და ხელშეკრულება შპს „ემტექთან“ გააფორმა.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხელშეკრულებების ფარგლებში, საქონელი მიწოდებულ იქნა 2020 წლის 1 ივლისიდან 17 აგვისტოს პერიოდში. ჯამურმა გადახდამ შეადგინა 2,008,226 ლარი.

დასკვნა

მოპოვებული მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებს, რომ სამინისტროს, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დროულად დაწყების შემთხვევაში, ჰქონდა საკმარისი დრო და შეეძლო შესყიდვის ტენდერის საშუალებით არაეკონომიური ხარჯის თავიდან აცილება. ასევე: გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების შემთხვევაშიც კი, 126,730 ლარით⁴⁷ ნაკლები საბიუჯეტო დანახარჯით, იმავე სპეციფიკაციის საქონლის მიღება. ზემოაღნიშნული გარემოებები სახელმწიფო შესყიდვების არაეფექტიან მართვასა და საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიუთითებს.

ფაქტობრივი გარემოება N2: განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 11 ნოემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁴⁸ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 127,947 ლარი. ტენდერის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2018 წლის 1 იანვრიდან ტენდერის გამოცხადებამდე პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონოდა შენობის/ნაგებობის მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოები (არ შედის გზების, ქუჩების მოწყობის და სხვა მსგავსი სამუშაოები), საერთო ღირებულებით, არანაკლებ, 200,000 ლარისა.

ტენდერში მონაწილეობდა 15 პრეტენდენტი. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტმა – შპს „დიდმა გზამ“ გამოცდილების დასადასტურებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ცხრილის სახით ატვირთა შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და ანგარიშფაქტურები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი 321,434 ლარის ღირებულების სამუშაოებიდან, 79,587 ლარის ღირებულების სამუშაოები გაწეული აქვს გზებზე საყრდენი კედლების, რკინაბეტონის კუვეიტების და სანიაღვრე არხების მოწყობისათვის, ხოლო 65,054 ლარის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარება განხორციელებული აქვს ტენდერის გამოცხადების შემდეგ.⁴⁹ ამდენად, პრეტენდენტის მიერ გამოცდილების

⁴⁵ მაღალი კლასის საოპერაციო სანათი (შპს „ემტექის“ ფასი - 24,000 აშშ დოლარი, სხვა კომპანიების ფასები - 9,580 აშშ დოლარი და 17,500 აშშ დოლარი); ანესთეზიის აპარატი (შპს „ემტექის“ ფასი - 38,000 აშშ დოლარი, სხვა კომპანიების ფასები - 35,000 აშშ დოლარი და 36,610 აშშ დოლარი).

⁴⁶ ჩაანაცვლა შპს „ემტექის“ მიერ შეთავაზებული სხვა საქონლით.

⁴⁷ ენდოსკოპიური სისტემა, ინტრაოპერაციული ექსკოპი (სხვაობა - 40,655 აშშ დოლარი).

⁴⁸ NAT200017270.

⁴⁹ ჩაქვის N1 სკოლის სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარება გაფორმებულია ტენდერის გამოცხადების შემდეგ, 2020 წლის 18 ნოემბერს (ხელშეკრულება N01-21/22, 29/07/2018; NAT20009468).

დასადასტურებლად წარმოდგენილი 144,641 ლარის ღირებულების სამუშაოები სატენდერო კომისიას სატენდერო პირობის თანახმად, გამოცდილებად არ უნდა ჩაეთვალოს და უნდა ემსჯელა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციაზე, რაც არ განუხორციელებია.

დასკვნა

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სატენდერო კომისიამ, სათანადოდ არ შეისწავლა პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია გამოცდილების შესახებ და შესაბამისი გარემოებების არსებობის მიუხედავად, არ იმსჯელა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციაზე, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N2

შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო/საკონკურსო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილად შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

რეკომენდაცია N3

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური ხარჯის გაწევის თავიდან აცილებას. გარდა ამისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა რელევანტური ღონისძიების დროულად გატარება შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელების თავიდან ასაცილებლად.

2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციით,⁵⁰ მიმწოდებელთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.⁵¹ შემსყიდველი ორგანიზაცია ამ პროცესში უნდა მოქმედებდეს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე.⁵²

2020 წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 105 ხელშეკრულებიდან 57 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება.

⁵⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი 5.

⁵¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

⁵² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა“.

ცხრილი N2. ინფორმაცია ტენდერის საშუალებით გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებების თაობაზე

ხელშეკრულებაში ცვლილებების რაოდენობა	ხელშეკრულებების რაოდენობა	პროცენტი%
0	48	46%
1	26	25%
2	16	15%
3	5	5%
4	4	4%
5	1	1%
6	1	1%
7	1	1%
9	1	1%
10	1	1%
11	1	1%
	105	100%

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განხორციელებული ცვლილებები არ ემსახურება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუმჯობესებას და შესაძლოა მიმართული იყოს მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან არიდებაზე ან საბიუჯეტო რესურსების ათვისებაზე.

ფაქტობრივი გარემოება N1: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, 2020 წლის 16 ივლისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყალში მაჭახლის ეთნოსოფლის საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁵³ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1,056,600 ლარი. უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის⁵⁴ შეთავაზების საფუძველზე, 2020 წლის 9 სექტემბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,⁵⁵ საერთო ღირებულებით – 929,138 ლარი, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

ხელშეკრულება,⁵⁶ გარდა თვით სამშენებლო სამუშაოებისა, ითვალისწინებდა არსებული შენობა-ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოებს და დემონტაჟის შედეგად მიღებული სასარგებლო მასალის დასაწყობებას შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.⁵⁷ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელმა წერილობით მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ სამშენებლო ობიექტზე არასწორად იყო მითითებული საპროექტო შენობა-ნაგებობების დასმის წერტილები,⁵⁸ ასევე სამინისტროს მიეთითებინა ტერიტორია, სადაც მოხდებოდა სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მიღებული ნარჩენი მასის დასაწყობება.⁵⁹ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმწოდებელი ითხოვდა ხელშეკრულებაზე

⁵³ NAT200009540.

⁵⁴ შპს „ალიგატორი 1“.

⁵⁵ ხელშეკრულება N64, 09/09/2020.

⁵⁶ ხელშეკრულების 3.3 პუნქტი.

⁵⁷ აუდიტორული კომპანია „ინტელექტ აუდიტის“ 2020 წლის 22 ივლისის N760 დასკვნის თანახმად, სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება შეადგენს 4,174 ლარს, რომელიც დაიქვითება მიმწოდებლის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების დროს.

⁵⁸ შპს „ალიგატორი 1“-ის 2020 წლის 21 სექტემბრის წერილი (ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კანცელარიაში რეგისტრაციის N01-01-09/6776, 23/09/2020).

⁵⁹ შპს „ალიგატორი 1“-ის წერილი N01-01-09/6967, 30/09/2020.

თანდართული სამუშაოების შესრულების ფინანსური გეგმა-გრაფიკის კორექტირებას.⁶⁰ იმის გამო, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, ტენდერის მომზადების ეტაპზე არ განუსაზღვრავს სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მიღებული ნარჩენი მასის დასაწყობების ადგილი, ისევე როგორც არ უმსჯელია შენობის დასმის წერტილების სისწორეზე; ხელშეკრულების ფინანსური გეგმა-გრაფიკი დაკორექტირდა⁶¹ და პირველ ეტაპზე შესასრულებელი 300,000 ლარის ღირებულების სამუშაოებიდან, რომელიც უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2020 წლის 10 დეკემბრისა, 200,000 ლარის ღირებულების სამუშაოები გადაიწია 11 დღით, 2020 წლის 21 დეკემბრამდე, ხოლო 100,000 ლარის ღირებულების სამუშაოები – 6 თვით, 2021 წლის 10 ივნისამდე, მესამე ეტაპის სამუშაოებთან ერთად.

მიმწოდებელმა კომპანიამ 2020 წლის მარტში კიდევ ერთხელ მოითხოვა ფინანსური გეგმა-გრაფიკის კორექტირება. შესაბამისი წერილების⁶² მიხედვით, კომპანია 2021 წლის 15 თებერვლიდან 21 მარტამდე ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, ვერ აწარმოებდა სამუშაოებს. სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით,⁶³ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი, ხელშეშლის შეწყვეტის სანაცვლოდ, დამატებით ითხოვდა სპორტული მოედნის ან ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობას. ზემოაღნიშნული საფუძველით, კიდევ ერთხელ შეიცვალა ფინანსური გეგმა-გრაფიკი და მეორე ეტაპის სამუშაოების ვადა გაგრძელდა ერთი თვით.

აუდიტის ჯგუფმა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელთან ერთად სამშენებლო ობიექტი ადგილზე დაათვალიერა. დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ მშენებლობის პროცესი 2021 წლის ივლისიდან⁶⁴ 2021 წლის სექტემბრამდე შეჩერებული იყო. მნიშვნელოვანია, რომ სამშენებლო ტერიტორია არის ყოფილი სამხედრო ნაწილი, არასდროს ყოფილა კერძო საკუთრება და მესამე პირების მიერ არც მფლობელობის/სარგებლობის ფაქტი არ დასტურდება. აქვე უნდა აღინიშნოს, სამინისტრომ ვერ წარმოადგინა მშენებლობის ხელშეშლის აღსაკვეთად განხორციელებული რაიმე ღონისძიების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა სანდო ინფორმაცია.

ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიწოდების ვადაში (2021 წლის 10 სექტემბერი) საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოებზე შესრულებული იყო მთლიანი სამუშაოების მხოლოდ 35% და გაწეული იყო 321,129 ლარის მოცულობის საბიუჯეტო დანახარჯი.⁶⁵ ამ პირობებში, 2021 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით,⁶⁶ სამშენებლო სამუშაოების მიწოდების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ შეთანხმება ფაქტობრივად ხელმოწერილია 2021 წლის 11 სექტემბერს,⁶⁷ მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ.

⁶⁰ შპს „ალიგატორი 1“-ის წერილი N01-01-09/8419, 03/12/2020.

⁶¹ შეთანხმება N1, 09/12/2020.

⁶² შპს „ალიგატორი 1“-ის წერილები: N01-01-09/1871, 09/03/2021; N01-01-09/2436, 23/03/2021.

⁶³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის განმარტება (28/07/2021).

⁶⁴ ადგილობრივებთან გასაუბრების შედეგად.

⁶⁵ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადახდილი თანხა 2020 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით.

⁶⁶ შეთანხმება N3, 10/09/2021.

⁶⁷ შპს „ალიგატორი 1“-ის დირექტორის მიერ ელექტრონული ხელმოწერა შესრულებულია 2021 წლის 11 სექტემბერს, 14:57 საათზე.

მაჭახელის ხეობის ეთნოსოფლის საინფორმაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოების ეტაპების დასრულების ვადების სათანადო დასაბუთების გარეშე გაგრძელება, მათ შორის მიწოდების სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგ, სამუშაოების მხოლოდ 35%-ის შესრულების პირობებში, სხვა გარემოებებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების მართვის ხარვეზებზე მიუთითებს და წარმოშობს მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან აცილების რისკებს.

ფაქტობრივი გარემოება N2: „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 11 ნოემბერს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.⁶⁸ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 41,468,000 ლარით.

ამხანაგობა „ინჟარქიტექტის“ მიერ მომზადებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში,⁶⁹ შერჩევა-შეფასების ეტაპზე, სატენდერო კომისიის მიერ აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების გამო,⁷⁰ ტენდერი შეწყდა. სატენდერო კომისიის ოქმის⁷¹ თანახმად, დოკუმენტაციაში გამოვლინდა უზუსტობები სამშენებლო მოცულობებთან დაკავშირებით. კერძოდ, ფასადის მოპირკეთებისა და ბინების ელექტრომომარაგების ნაწილში, არმატურის მოცულობის ნაწილში და სხვ. კორექტირებული დოკუმენტაციით 1,980,000 ლარით შემცირდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპამდე ხარვეზები ვერ გამოვლინდა. შედეგად, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ხელახალი ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს. ხელახალ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე,⁷² გაიმარჯვა შპს „დაგიმ“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,⁷³ ღირებულებით – 38,745,999 ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად, მიწოდების ვადად განისაზღვრა 2021 წლის 13 ივლისის ჩათვლით პერიოდი. სამუშაოების მიწოდების 17 თვიანი ვადა, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით, თავიდანვე წარმოშობდა შემდგომში სხვადასხვა საფუძვლით ვადების ცვლილების რისკებს. მართლაც, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა თავდაპირველად გაგრძელდა 2021 წლის 25 ოქტომბრამდე,⁷⁴ ხოლო შემდეგ – 2021 წლის 10 დეკემბრამდე.⁷⁵ შესაბამისად, შეიცვალა ფინანსური გეგმა-გრაფიკის თითოეული ეტაპის შესრულების ვადები.⁷⁶

სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების საფუძვლად პირველ შემთხვევაში მითითებულია, რომ ქვეყანაში პანდემიის გამო შეწყვეტილი იყო

⁶⁸ NAT190021387.

⁶⁹ ხელშეკრულება N27, 25/03/2019 (NAT190003839).

⁷⁰ ამხანაგობა „ინჟარქიტექტის“ პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 14,720 ლარი (გადახდილია 18/06/2020).

⁷¹ სატენდერო კომისიის ოქმი N4, 26/12/2019.

⁷² NAT190025735 (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – 39,488,000 ლარი).

⁷³ ხელშეკრულება N15, 13/02/2020.

⁷⁴ შეთანხმება N2, 09/02/2021.

⁷⁵ შეთანხმება N3, 25/05/2021.

⁷⁶ ფინანსური გეგმა-გრაფიკის თითოეული ეტაპის შესრულების ვადების ცვლილების მიუხედავად, სამუშაოები განსაზღვრულ ვადებში ვერ შესრულდა, ხოლო მიმწოდებლისთვის დაკისრებულმა პირგასამტეხლომ შეადგინა 208,443.4 ლარი.

სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, რაც, თავის მხრივ, აფერხებდა სამუშაოთა წარმოებას და მუშახელის ობიექტზე მობილიზებას, ასევე გადაადგილების შეზღუდვა საღამოს 9:00 საათიდან დილის 5:00 საათამდე.⁷⁷ აღსანიშნავია, რომ უფრო მკაცრი შეზღუდვის პირობებში მიმწოდებელ კომპანიას არ ჰქონდა ფინანსური გეგმა-გრაფიკის დარღვევა.⁷⁸ ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტებით სათანადოდ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ გაგრძელდა მე-3 და მე-4 ეტაპის სამუშაოები, თითოეული, დაახლოებით, 100 დღით. მე-3 ეტაპის სამუშაოების დასრულების დღეს, 2021 წლის 25 მაისს, ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით, მესამე ეტაპის სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა კიდევ ორი თვით, ხოლო მეოთხე ეტაპის სამუშაოების – კიდევ 45 დღით. ამ შემთხვევაში ვადის გაგრძელების ძირითად საფუძვლად მითითებულია ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის არარსებობა. როგორც წინა შემთხვევაში, შეზღუდვის გავლენის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია ვადების ამ მოცულობით გაგრძელება, ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ დროულად არ გაატარა ეფექტიანი ღონისძიებები დაერთების წერტილების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ პროექტთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების გაზომომარაგების, შიდა წყალმომარაგებისა და შიდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც გამოცხადდა 2021 წლის 11 თებერვალს. ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე⁷⁹ მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – ძირითად ტენდერში გამარჯვებული – შპს „დაგი“, რომლის მიერ შეთავაზებული ფასი – 1,570,000 ლარი, 1.4%-ით ნაკლებია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე (1,592,098 ლარი). ტენდერის უკონკურენტო გარემოში ჩატარება გამოწვეულია, მათ შორის იმით, რომ მშენებარე, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობაში შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას სხვა კომპანია ვერ შეძლებდა; ასევე არ არის დასაბუთებული, რატომ არ იქნა ძირითადი შესყიდვის დროს გათვალისწინებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების გაზომომარაგების, შიდა წყალმომარაგებისა და შიდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები.

დასკვნა

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სახელმწიფო შესყიდვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში 1,980,000 ლარის ღირებულების უზუსტობა ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპამდე ვერ იქნა გამოვლენილი, რამაც სამშენებლო სამუშაოების 46 დღის დავიანებით დაწყება განაპირობა. ამასთანავე, ხელახალი ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადების ცვლილება არ ემსახურება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუმჯობესებას და მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ვადებში დაუსრულებლობას განაპირობებს. ასევე დამატებით გაზომომარაგების, შიდა წყალმომარაგებისა და შიდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების უკონკურენტო გარემოში შესყიდვა და მათი გაუთვალისწინებლობა ძირითადი შესყიდვის ფარგლებში, წარმოშობს

⁷⁷ შპს „დაგის“ წერილი N02/05/02/21, 05/02/2021.

⁷⁸ პირიქით, ჰქონდა წინსწრება.

⁷⁹ NAT210002760.

რეკომენდაცია N4

არაეკონომიური ხარჯის გაწევის რისკებს და შესყიდვების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში ცვლილებებზე განაცხადების სრულყოფილ შესწავლასა და მიზანშეწონილობის შეფასებას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

2.5 შესრულებული სამუშაოს ხარისხი და საგარანტიო ვადები

კრიტერიუმი: საჯარო დაწესებულებების მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიზანია მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, შესრულებული სამშენებლო სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, ხოლო მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მომხმარებელზე და გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ სამუშაოებით სარგებლობა. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები⁸⁰ ითვალისწინებს საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებლის ვალდებულებას, დაზიანება ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო გამოასწოროს დროულად და საკუთარი ხარჯებით. ამასთანავე, შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა განახორციელეს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე, თუმცა შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რაც კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ფაქტობრივი გარემოება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა განახორციელეს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე. ამასთანავე, შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები.

➤ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე⁸¹ შესყიდულია 43,989 ლარის ღირებულების შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის სარწყავი არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.⁸² შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ ერთ-ერთ უბანზე არხი არ ფუნქციონირებს.

➤ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ელექტრონული ტენდერებით აუქციონის გარეშე⁸³ შესყიდულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების განახლების და ტაბახმელის სარწყავი არხების სარეკონსტრუქციო სამუშაოები.⁸⁴ პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ღია ტიპის მონოლითური ბეტონით ჩამოსხმული არხის ჰიდროიზოლაცია. ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ მინიმუმ 2,593 ლარის სამუშაოები არაჯეროვნად არის

⁸⁰ ხელშეკრულებები სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

⁸¹ NAT180020908.

⁸² სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N37, 31/01/2019.

⁸³ NAT200006694; NAT200006786.

⁸⁴ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-02/51, 27/05/2020 (გადახდილი თანხა - 45,966 ლარი); სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-02/61, 08/06/2020 (გადახდილი თანხა - 33,881 ლარი).

შესრულებული, რის გამოც არხის დიდ ნაწილზე მოცილებულია დამცავი ფენა ან/და დამცავი ფენა თავიდანვე არ ყოფილა გაკეთებული. აღნიშნული ხარვეზის დროულად გამოსწორება აუცილებელია სარწყავი არხის გრძელვადიანი გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

➤ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე⁸⁵ შესყიდულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის სარწყავი არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.⁸⁶ პროექტის შესაბამისად, სხვა სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, გათვალისწინებული იყო არსებული გოფირებული მილების დემონტაჟი და მონტაჟი, ღირებულებით 27,066 ლარი. ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ მილების გადაბმის წერტილებიდან გამოდის წყალი. შესაბამისად, მოსახლეობა ვერ იღებს წყლის მოსალოდნელ რაოდენობას.

➤ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით შესრულებულია ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების⁸⁷ ცენტრალური გათბობის სისტემის, ღობეების მოწყობის და სხვა სამუშაოები.⁸⁸ ხელშეკრულების⁸⁹ ფარგლებში, დიდაჭარის საჯარო სკოლის საქვების მოწყობის სამუშაოებზე გაწეულია 37,007 ლარის ხარჯი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ რიგი სამუშაოები შესრულებულია არაჯეროვნად. იმავე ხელშეკრულების ფარგლებში, ძირკვაძეების საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის და სხვა სამუშაოებზე დახარჯულია 41,640 ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ეზოს ბეტონის ზედაპირი და რიგი სხვა შესრულებული სამუშაო დაზიანებულია.

➤ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით⁹⁰ შესრულებულ დავის საბაზისო საჯარო სკოლის საქვების მოწყობის სამუშაოებზე⁹¹ გაწეულია 29,311 ლარის ხარჯი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით სამუშაოების ნაწილზე გამოვლინდა ხარვეზები.

➤ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით შესრულებულ ზედა სამების საჯარო სკოლის⁹² სარეაბილიტაციო სამუშაოების⁹³ ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ რიგ სამუშაოებზე შეინიშნება დაზიანებები.

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა განახორციელეს 1,071,664 ლარის ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ

⁸⁵ NAT200006784.

⁸⁶ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-02/54, 29/05/2020 (გადახდილი თანხა - 42,770 ლარი).

⁸⁷ დიდაჭარის, ძირკვაძეების და ხიხაძეების საჯარო სკოლები.

⁸⁸ NAT200001626.

⁸⁹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N50, 12/03/2020 (გადახდილი თანხა - 166,506 ლარი).

⁹⁰ NAT 200013374.

⁹¹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N119, 07/10/2020 (გადახდილი თანხა - 86,588 ლარი).

⁹² NAT200001433.

⁹³ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N64 13/04/2020 (გადახდილი თანხა - 651,934 ლარი).

რეკომენდაცია N5

ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზი და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით.⁹⁴

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგით უზრუნველყოფს ხარვეზების დროულად გამოვლენას და საგარანტიო მექანიზმების ამოქმედებას. ამასთანავე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ სრულყოფილად გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და სუბიექტური ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2.6 ქვეკონტრაქტორების საკითხი

კრიტერიუმი: იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ქვეკონტრაქტორის გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის თანხმობის შემთხვევაში, მიმწოდებელმა კი ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ნაწილი მესამე პირს შესასრულებლად გადასცა ასეთი თანხმობის გაცემის გარეშე, აღნიშნული ქვეკონტრაქტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების გაუზიარებლობა (მიუღებლობა) არ არის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება.⁹⁵

ქვეკონტრაქტორების შესახებ ეფექტიანი რეგულაციების არარსებობის პირობებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ არის შემუშავებული ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის სამუშაოს გამოყენებას. რიგ შემთხვევებში, ტენდერებში მონაწილე ორი ან მეტი კომპანია სამუშაოების გამოცდილებად ითვლის ერთსა და იმავე სამუშაოებს, რის გამოც გაურკვეველია, რეალურად რომელი კომპანიის მიერ იქნა შესრულებული სამუშაოები. აღნიშნული, კომპანიებს უქმნის გამოცდილების დადასტურების საშუალებას და, შესაბამისად, ტენდერებში არაკონკურენტულ უპირატესობას.

ფაქტობრივი გარემოება N1: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ დანდალოს ხიდთან დასასვენებელი – საპიკნიკე ადგილის მშენებლობისა და შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზამლეთში (ნენიის ხიდთან) დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში⁹⁶ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ალიგატორი 1“, სახელშეკრულებო ღირებულებით – 398,987 ლარი.⁹⁷ მოპოვებული ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოების 94.9%, ანუ 362,000 ლარის ღირებულების სამუშაო შეასრულა ქვეკონტრაქტორმა – შპს „ალიგატორ პროვაიდერ ჯორჯიამ“, რომელსაც შესაბამის პერიოდში არ გააჩნდა სათანადო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებით,⁹⁸ ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ დადგენილი წესით უნდა ეცნობოს

⁹⁴ ადგილზე შესასრულებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წერილობით წარმოადგინა ინფორმაცია, რომ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ეცნობათ მიმწოდებელ კომპანიებს და მათი უმრავლესობა უკვე აღმოფხვრილია. ასევე შემაჯამებელ შეხვედრაზე, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მიმწოდებელ კომპანიებს ეცნობათ ხარვეზების თაობაზე, დროულად აღმოფხვრელობის შემთხვევაში კი მათ წინააღმდეგ ამოქმედდება საჯარიმო სანქციები.

⁹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებული პრაქტიკა, <http://procurement.gov.ge/ka/page/davebi-praktikis-analizi>.

⁹⁶ SPA180005281.

⁹⁷ ხელშეკრულება N148, 08/08/2018.

⁹⁸ 2018 წლის 8 აგვისტოს N148 ხელშეკრულება, მუხლი 13.

შემსყიდველ ორგანიზაციას და წერილობით გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების სახით, სამინისტროსთვის მიმწოდებელს არ უცნობებია.⁹⁹

აუდიტის ჯგუფმა სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა. შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე მდგომარეობა¹⁰⁰ წარმოშობს განხორციელებული სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების რისკებს. მათ შორის, აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხი.

➤ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ – ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლის არსებული კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაციისა და მეორე კორპუსის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე¹⁰¹ გაიმარჯვა შპს „ალიგატორ პროვაიდერ ჯორჯიამ“,¹⁰² რომელმაც გამოცდილების შესახებ სატენდერო პირობის დაკმაყოფილებისას, გამოიყენა შპს „ალიგატორ 1“-ის დაკვეთით შესრულებული სამუშაოების გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამოცდილების გარეშე პრეტენდენტი ვერ შეძლებდა სატენდერო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ფაქტობრივი გარემოება N2: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მწვანე ტბის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹⁰³ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მარდი“, სახელშეკრულებო ღირებულებით – 1,036,348 ლარი.¹⁰⁴ მოპოვებული ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოები შეასრულა ქვეკონტრაქტორმა – შპს „დიდამ“, რომელსაც შესაბამის პერიოდში არ გააჩნდა სათანადო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებით,¹⁰⁵ ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ დადგენილი წესით უნდა ეცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას და წერილობით გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების სახით, სამინისტროსთვის შპს „მარდს“ არ უცნობებია,¹⁰⁶ ხოლო მიმწოდებელი ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არ დაინტერესდა ფაქტობრივი შემსრულებლით. აღნიშნული გარემოება შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

➤ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების – ციხისძირისა და აჭყვას საჯარო სკოლების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო

⁹⁹ შპს „ალიგატორ პროვაიდერ ჯორჯიას“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით, აღნიშნული კომპანია იყო ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებში შპს „ალიგატორი 1“-ის ქვეკონტრაქტორი, რასაც სამინისტრო 2021 წლის 9 ივლისის ელექტრონული წერილით არ ადასტურებს.

¹⁰⁰ დაზიანებულია საკანალიზაციო სისტემა, შენობის ფასადი, მიმდებარე ტერიტორია.

¹⁰¹ NAT190013144.

¹⁰² ხელშეკრულება N155, 11/09/2019 (ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება – 2,890,063 ლარი).

¹⁰³ NAT190005410.

¹⁰⁴ ხელშეკრულება N42, 16/05/2019.

¹⁰⁵ 2019 წლის 16 მაისის N42 ხელშეკრულება, მუხლი 16.

¹⁰⁶ შპს „დიდა“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაციით იყო ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებში შპს „მარდის“ ქვეკონტრაქტორი, რასაც სამინისტრო 2021 წლის 9 ივლისის ელექტრონული წერილით არ ადასტურებს.

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე¹⁰⁷ გაიმარჯვა შპს „დიდამ“,¹⁰⁸ რომელმაც გამოცდილების შესახებ სატენდერო პირობის დაკმაყოფილებისას, გამოიყენა შპს „მარდის“ დაკვეთით შესრულებული 949,763 ლარის ღირებულების სამუშაოების გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამოცდილების გარეშე პრეტენდენტი ვერ შეძლებდა სატენდერო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

➤ გარდა ზემოაღნიშნული შესყიდვისა, იმავე ქვეპროგრამის ფარგლებში, სსიპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სამების საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2020 წლის 20 იანვარს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე¹⁰⁹ გაიმარჯვა შპს „დიდამ“,¹¹⁰ რომელმაც ამჯერადაც გამოცდილების შესახებ სატენდერო პირობის დაკმაყოფილებისას, გამოიყენა შპს „მარდის“ დაკვეთით შესრულებული 949,763 ლარის ღირებულების სამუშაოების გამოცდილება. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გამოცდილების გარეშე ვერც ამ შემთხვევაში ვერ შეძლებდა პრეტენდენტი სატენდერო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

დასკვნა

ქვეკონტრაქტორების შესახებ რეგულაციების ნაკლებობის პირობებში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ არ არის შემუშავებული კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის სამუშაოს გამოყენებას. ასევე შესაძლებელია, ორმა სხვადასხვა კომპანიამ ერთი და იმავე სამუშაოების გამოცდილებით დააკმაყოფილოს ორი სხვადასხვა ტენდერის მოთხოვნა, რაც ფაქტობრივად ფორმალურს ხდის პრეტენდენტთა შეჯიბრობითობისა და კვალიფიციური მიმწოდებლის შერჩევის პროცესს. ზემოაღნიშნული ამ მიმართულებით შიდა კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N6

ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მართვის მიზნით, შეიქმნას შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე კვალიფიციური ქვეკონტრაქტორის შერჩევას და ეფექტიან მონიტორინგს.

2.7 საავანსო

ანგარიშსწორება

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს გარემოებათა საფუძველიან ანალიზს და მიზანშეწონილობის შეფასებას. ამასთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.¹¹¹

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 9 ხელშეკრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი შესაძლოა მიმართული იყო შესაბამისი საბიუჯეტო წლის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნების ასათვისებლად და არ უზრუნველყოფდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას.

¹⁰⁷ NAT200002965.

¹⁰⁸ ხელშეკრულება N60, 30/03/2020 (ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება - 304,214 ლარი).

¹⁰⁹ NAT200001433.

¹¹⁰ ხელშეკრულება N64, 13/04/2020 (ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება - 668,459 ლარი).

¹¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21¹, პუნქტი 4.

ფაქტობრივი გარემოება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა თითოეულ შემთხვევაში წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. მოპოვებული ინფორმაციით, 2020 წლის დეკემბერში წინასწარი ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლებზე გადახდილია 496,601 ლარი, მათ შორის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მაქსიმალურმა თანხამ შეადგინა 100,000 ლარი.¹¹² რიგ შემთხვევებში, წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენება ხელშეკრულებით თავიდანვე არ ყოფილა განსაზღვრული, რის გამოც ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები და მიმწოდებელს დაეკისრა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან აუნაზღაურებელი თანხის მოცულობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება.¹¹³

დასკვნა

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 9 ხელშეკრულების შემთხვევაში, შესაძლოა, მიმართული იყოს შესაბამისი საბიუჯეტო წლის ფარგლებში გამოყოფილი 496,601 ლარის მოცულობის ასიგნების ასათვისებლად და არ უზრუნველყოფდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას.

რეკომენდაცია N7

წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების მიზნით, შემუშავდეს სათანადო კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ანალიზის განხორციელებას, რამდენად საჭიროებს შესყიდვა წინასწარ დაფინანსებას და რამდენად აუცილებელია აღნიშნული მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის. ამ პროცესში გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი ანგარიშსწორება წლის ბოლოს საბიუჯეტო ასიგნების ასათვისებლად არ იყოს მიმართული.

აუდიტორები

ხელმოწერა

ჰენრი სანიკიძე

მთავარი აუდიტორი

გურანდა გვაზავა

უფროსი აუდიტორი

ზვიად ვარშალომიძე

აუდიტორი

გიორგი აბულაძე

აუდიტორ-ასისტენტი

¹¹² ხელშეკრულება N74, 10/11/2020 (CNT200000035, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 328,040 ლარი, ავანსი - 100,000 ლარი).

¹¹³ ხელშეკრულება N49, 12/03/2020 (NAT200001934, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 187,777 ლარი, ავანსი - 24,000 ლარი); ხელშეკრულება N91, 27/07/2020 (NAT200009386, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 25,577 ლარი, ავანსი - 4,000 ლარი); ხელშეკრულება N71, 07/05/2020 (NAT200006193, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 287,773 ლარი, ავანსი - 56,000 ლარი); ხელშეკრულება N95, 03/08/2020 (NAT200008799, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 227,777 ლარი, ავანსი - 58,000 ლარი); ხელშეკრულება N140, 30/11/2020 (NAT200016725, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 95,101 ლარი, ავანსი - 95,101 ლარი); ხელშეკრულება N140, 30/11/2020 (NAT200014181, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 45,975 ლარი, ავანსი - 32,500 ლარი); ხელშეკრულება N135, 05/11/2020 (NAT20001544, ხელშეკრულების საერთო ღირებულება - 102,590 ლარი, ავანსი - 40,000 ლარი).

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE